



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კაციტაძე ზურაბ ირაკლის ძე

კაციტაძე ზურაბ ირაკლის ძე (დ. 28. VIII. 1927, თბილისი), ანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1974). საქართვე. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1990). 1949 დაამთავრა თსსი. 1949-51 მუშაობდა ქ. რუსთავში პოლიკლინიკის მთავარ ექიმად; 1954-56 – მოსკოვში, 1956-61 კი თბილისში იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი. 1961-იდან თსსი-ის ადამიანის ანატომიის კათედრაზე, სადაც 1971 აირჩიეს კათედრის პროფესორად, 1974-90 – კათედრის გამგედ. კ. იკვლევდა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ბიომექანიზმებს, ანთროპოლოგიის, ასაკობრივი ანატომიისა და ექსპერ. მედ. საკითხებს. კ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 6 მონოგრაფია და 5 სახელმძღვანელოა.

*თხზ.*: ადამიანის ანატომია, ნაწ. 1-4, თბ., 1988-91; Эволюция вертикальной ходьбы, Тб., 1968; Лимфатическое русло женских половых органов, Тб., 1990 (თანაავტ.: М. Абесадзе, А. Борисов).

---